

# საქართველოს რესპუბლიკური პარტიის XIII ყრილობა

თბილისი
2009 წლის 8 ივლისი

## 31 წელი პოლიტიკურ ასპარეზზე

## პარტიის მე-13 ყრილობა

## 517 დელეგატი

## დელეგატთა 30,37 % – ქალი

## 56 რაიონული/საქალაქო ორგანიზაცია და 11 საინიციატივო ჯგუფი

შინაარსი:


*ii*
საქართველოს რესპუბლიკური პარტიის
პოლიტიკური საბჭოს გადაწყვეტილება
პარტიის ყრილობის დელეგატთა შერჩევის წესის შესახებ

*ii*
საქართველოს რესპუბლიკური პარტიის
XIII ყრილობის დელეგატთა სია

*x*
საქართველოს რესპუბლიკური პარტიის
წესდების ახალი რედაქციის პროექტი

*14 ივნისი, 2009*

# საქართველოს რესპუბლიკური პარტიის
# პოლიტიკური საბჭოს

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
**პარტიის ყრილობის დელეგატთა შერჩევის წესის შესახებ**

პარტიის წესდების 5.4 მუხლის შესაბამისად 2009 წელს გასამართი მორიგი ყრილობის დელეგატები შეირჩნენ შემდეგი წესით:

1. ყრილობის დელეგატის სტატუსი მიენიჭოთ:
   - ეროვნული კომიტეტის წევრებს;
   - პოლიტიკური საბჭოს წევრებს;
   - პარტიის სარევიზიო კომისიის წევრებს;
   - რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების კომიტეტების წევრებს;
   - თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრებს;
   - რეგიონების კოორდინატორებს;
   - ახალგაზრდა რესპუბლიკელების მმართველი საბჭოს წევრებს და თბილისის რაიონული ორგანიზციების ხელმძღვანელებს;
   - რეგიონული ორგანიზაციების კომიტეტების იმ წევრებს, რომლებიც არ არიან საქალაქო ან რაიონული კომიტეტების წევრები;
   - საკრებულოების წევერებს, რომლებიც არ არიან რაიონული ან საქალაქო კომიტეტების წევრები;
   - რესპუბლიკური ინსტიტუტის მმართველი ორგანოს წევრებს;
   - ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტის მმართველი ორგანოს წევრებს;
   - პარტიის ბეჭდვითი ორგანოს რედკოლეგიის წევრებს.
2. ყრილობის დელეგატებად არჩეულ იქნენ:
   - იმ რაიონული და საქალაქო ჯგუფების მაქსიმუმ 4 წარმომადგენელი, სადაც კომიტეტები არ არჩეულა (წევრთა რაოდენობის მიხედვით კონკრეტული რაოდენობა განსაზღვროს პარტიის თავმჯდომარემ);
   - თბილისის საოლქო ორგანიზაციების მიერ არჩეული ამ ორგანიზაციებში რეგისტრირებული პარტიის წევრები შემდეგი რაოდენობით:
     - o საბურთალო (211 წევრი) – 26
     - o ვაკე (147) – 18
     - o ნაძალადევი (127) – 15
     - o სამგორი (120) – 15
     - o ისანი (107) – 13
     - o დიდუბე (106) – 13
     - o მთაწმინდა (102) – 12
     - o გლდანი (77) – 9
     - o კრწანისი (54) – 6
     - o ჩუღურეთი (51) – 6

# საქართველოს რესპუბლიკური პარტიის
# XIII ყრილობის დელეგატთა სია

**პოლიტიკური საბჭო**, 26

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | უსუფაშვილი | დავითი | 10 | ბერიშვილი | გურამი | 19 | ქათამაძე | მერაბი |
| 2 | ბერძენიშვილი | ლევანი | 11 | ნაცვლიშვილი | ლაშა | 20 | კახიძე | ირაკლი |
| 3 | ბერძენიშვილი | დავითი | 12 | დუმბაძე | მურმანი | 21 | კვაჭანტირაძე | გენადი |
| 4 | ზაქარეიშვილი | პაატა | 13 | იმერლიშვილი | ირინე | 22 | შერგელაშვილი | თენგიზი |
| 5 | ხიდაშელი | თინათინი | 14 | აგულაშვილი | გიგლა | 23 | ბრაგვაძე | ზურაბი |
| 6 | ხაინდრავა | ივლიანე | 15 | ხორგუანი | სოფიო | 24 | რაზმაძე | დავითი |
| 7 | ნერგაძე | თეიმურაზი | 16 | ბათიაშვილი | ირაკლი | 25 | ნაკაშიძე | ვლადიმერი |
| 8 | საყვარელიძე | ფრიდონი | 17 | ხმალაძე | ვახტანგი | 26 | მიქატაძე | ტიფო |
| 9 | მარაქველიძე | ზურაბი | 18 | ზურაბიშვილი | დავითი | | | |

**სარევიზიო კომისია**, 3

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 27 | ბაჟუნაიშვილი | მიხეილი | 28 | სანიკიძე | ვლადიმერი | 29 | ფხაკაძე | ლევანი |

**რეგიონის კოორდინატორი**, 4

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 30 | ბებოშვილი | შალვა | 32 | ნარიმანიშვილი | გოდერძი |
| 31 | ბენდელიანი | ირმა | 33 | კოპალიანი | ვასილი |

## თბილისის საქალაქო კომიტეტი, 11

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 34 | ლაზაშვილი | ლია | 38 | მენოგნიშვილი | თემური | 42 | ჭაღიაშვილი | გიორგი |
| 35 | ჭყონია | მარინე | 39 | ზუმბაძე | გულო | 43 | გაბუნია | ნუგზარი |
| 36 | ებანოიძე | ნოდარი | 40 | გაბუნია | მიხეილი | 44 | გეგეშიძე | ლევანი |
| 37 | გაბრიელაშვილი | გოჩა | 41 | გიორგაძე | თემური | | | |

## ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტი, 1

| | | |
|---|---|---|
| 45 | აბაშიშვილი | გიორგი |

## ახალგაზრდა რესპუბლიკელების მმართველი საბჭო და თბილისის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 46 | დევიძე | ლალი | 49 | კაპანაძე | ელენე | 52 | რეხვიაშვილი | გიორგი |
| 47 | ბეჟარაშვილი | თორნიკე | 50 | გიგაური | თამარი | | | |
| 48 | ოქროპირიძე | ბექა | 51 | გელბახიანი | შმაგი | | | |

# თბილისი, 133

## მთაწმინდა, 12

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 53 | იაკობაშვილი | არჩილი | 57 | ბრეგვაძე | ლაშა | 61 | ცუცქირიძე | ალექსანდრე |
| 54 | ინჯგია | ლეილა | 58 | კუციავა | გურამი | 62 | გოგუაძე | ბელა |
| 55 | საკანდელიძე | ია | 59 | ქადაგიშვილი | მიხეილი | 63 | გოგიძე | მაია |
| 56 | ჯოხაძე | ლევანი | 60 | თავაძე | მაია | 64 | ქობალავა | ინგა |

## ვაკე, 18

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 65 | აზიკური | გელა | 71 | გოგოლაძე | ნესტორი | 77 | წაქაძე | კახაბერი |
| 66 | გამყრელიძე | ზეინაბი | 72 | ტაბეშაძე | ლელა | 78 | კაპანაძე | ნოდარი |
| 67 | კანთელაძე | თენგიზი | 73 | ფაღავა | მარინა | 79 | ჯაიანი | ჯამბაკური |
| 68 | ლეჟავა | დიმიტრი | 74 | თავაძე | ეკა | 80 | გამყრელიძე | ნანა |
| 69 | მარკოზაშვილი | უშანგი | 75 | მიქაუტაძე | ბექა | 81 | მაჭავარიანი | მარიკა |
| 70 | კიტოვანი | ნათია | 76 | მინაძე | რუსუდანი | 82 | ჭავჭავაძე | ნანა |

## საბურთალო, 26

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 83 | კალანდარიშვილი | ნინო | 92 | საბანაძე | ბესიკი | 101 | მეფარიშვილი | რუსუდანი |
| 84 | მარდალეიშვილი | ერეკლე | 93 | თეთრაშვილი | ჯემალი | 102 | ელიზბარაშვილი | მიხეილი |
| 85 | ნაჭყებია | როლანდი | 94 | გურაბანიძე | მერაბი | 103 | ბირკაძე | ლალი |
| 86 | რევაზიშვილი | რუსუდანი | 95 | ნამორაძე | პაატა | 104 | გავაშელი | კახაბერი |
| 87 | მდინარაძე | ბესიკი | 96 | ტყეშელაშვილი | ვასილი | 105 | დოდაშვილი | ზურაბი |
| 88 | დალაქიშვილი | გიორგი | 97 | ჯინჭარაძე | ტრისტანი | 106 | ებანოიძე | თორნიკე |
| 89 | ხმიადაშვილი | აკაკი | 98 | თანდაშვილი | თამარი | 107 | ბუაჩიძე | მერაბი |
| 90 | ცქიტიშვილი | კახა | 99 | ონიანი | ბექა | 108 | ითაშვილი | კახა |
| 91 | თევდორაშვილი | ნიკო | 100 | რუხაძე | ირაკლი | | | |

## კრწანისი, 6

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 109 | ქევხიშვილი | თამარი | 111 | მჭედლიშვილი | დარეჯანი | 113 | მამუკაშვილი-ცქიფური | ირმა |
| 110 | ტუღუში | ჯამლეთი | 112 | ჯაიანი | გულიკო | 114 | რეხვიაშვილი | ბაია |

## ისანი, 13

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 115 | ჯალიაშვილი | გიორგი | 120 | თევდორაშვილი | გიორგი | 125 | ვარდოსანიძე | ილია |
| 116 | შაფათავა | დავითი | 121 | ხუმარაშვილი | ლამზირა | 126 | ხურციძე | ზაზა |
| 117 | რაზმაძე | გიორგი | 122 | ხუროძე | ინეზა | 127 | მოსეშვილი | ასმათი |
| 118 | ჭკადუა | ნანა | 123 | მოსეშვილი | გელა | | | |
| 119 | სამუკაშვილი | ლარისა | 124 | ოდიშელიძე | ნათელა | | | |

### ᲡᲐᲛᲒᲝᲠᲘ, 15

128 მარტიაშვილი ჯუმბერი
129 მჭედლიშვილი მანანა
130 დოლიძე ნანა
131 დათუაშვილი ნანა
132 მამადაშვილი გილდა
133 ქრისტესიაშვილი მანანა
134 ბაიდოშვილი ილია
135 გიორგაძე ლალი
136 ასლანიშვილი ნატო
137 მჭედლიშვილი მამუკა
138 გამყრელიძე ლიზი
139 ნოღაშვილი სოფიო
140 ყარყარაშვილი ვასილი
141 გოგობერიშვილი თემური
142 ზედგენიძე ზურაბი

### ᲩᲣᲦᲣᲠᲔᲗᲘ, 6

143 აჭარაძე ნინო
144 გიორგაძე თამარი
145 რომელაშვილი თამარი
146 მარჯანიძე გიორგი
147 ბუნტური ნანა
148 თევზაძე ხათუნა

### ᲓᲘᲓᲣᲑᲔ, 13

149 გულიაშვილი ზაზა
150 პატარქალიშვილი ირაკლი
151 მამულაშვილი მურადი
152 შეროზია ვილიანი
153 საყვარელიძე სვეტლანა
154 თოხაძე ზურაბი
155 ახობაძე ქეთევანი
156 მღებრიშვილი ანა
157 მაღრაძე ნუგზარი
158 კუპრაშვილი ბექარი
159 ლოლაძე გელა
160 ბუცხრიკიძე როლანდი
161 სილაგაძე გრიგოლი

### ᲜᲐᲫᲐᲚᲐᲓᲔᲕᲘ, 15

162 მოსიაშვილი შორენა
163 გამგებელი თინათინი
164 კალანდაძე დემური
165 გედევანიშვილი ნინო
166 გულიაშვილი ქეთევანი
167 გამეზარდაშვილი ლუიზა
168 მიქელაძე თამარი
169 ბერაძე კობა
170 ბითაძე მანანა
171 ბენაშვილი ციური
172 ქუმსიშვილი მანანა
173 სტეფანოვა ელინა
174 ბაჩილავა დავითი
175 რომაშვილი ნინო
176 მშვენიერაძე ნოდარი

### ᲒᲚᲓᲐᲜᲘ, 9

177 გუნიავა ირაკლი
178 სვანაძე კახა
179 შარიქაძე ნინო
180 შოთაშვილი ციცინო
181 ფილაური მარინე
182 სუხიშვილი ლავრენტი
183 დევდარიანი იური
184 ლომოვი გარიკ
185 ცუცქირიძე გოჩა

## იმერეთი, 80

### ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ, 7

186 ზაბახიძე ინგა
187 არჯევანიძე ოლეგი
188 აბაშიძე კონსტანტინე
189 ჭიღლაძე ზაალი
190 შარვაძე მევლუდი
191 ცერცვაძე მანანა
192 ბანძელაძე ხათუნა

### ᲗᲔᲠᲯᲝᲚᲐ, 7

193 ბუსკივაძე სოფიო
194 კაპანაძე გიორგი
195 ისაკაძე მარინე
196 დათუაძე გოდერძი
197 ბუცხრიკიძე ალექსანდრე
198 გურგენიძე მალხაზი
199 პერანიძე მაკა

### ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ, 6

200 გაბრიაძე ბორისი
201 წერეთელი გიორგი
202 აშოთია გელა
203 ჯიშიაშვილი ნუგზარი
204 აბესაძე ნუგზარი
205 წაქაძე რამაზი

### ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ, 7

206 ბერუაშვილი მირიანი
207 რობაქიძე ტარიელი
208 ტუხაშვილი ელდარი
209 დოღონაძე თამარი
210 გველესიანი ლელა
211 კაპანაძე ზაალი
212 ქოჩიაშვილი მალხაზი

### ᲮᲝᲜᲘ, 6

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 213 | ვაშაკიძე | კახა | 215 | კუბლაშვილი | კობა | 217 | კობიაშვილი | გოჩა |
| 214 | კინწურაშვილი | ლეილა | 216 | მაჭარაძე | ვარლამი | 218 | ვეკუა | ალექსანდრე |

### ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 219 | ჩანქსელიანი | ლევანი | 222 | შუკაკიძე | დალი | 225 | იობიძე | ლელა |
| 220 | იობიძე | მაია | 223 | კვანზირიძე | ხათუნა | | | |
| 221 | ჯავახაძე | ამირანი | 224 | ვაშაკიძე | კობა | | | |

### ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 226 | თოლორდავა | ზურაბი | 229 | გეგეშიძე | გიორგი | 232 | სოსელია | გიზო |
| 227 | წიქორიძე | მამუკა | 230 | ზირაქაძე | გია | | | |
| 228 | სახამბერიძე | მარინა | 231 | ცაგარეიშვილი | დავითი | | | |

### ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 233 | ლურსმანაშვილი | იური | 236 | გაგოშიძე | ომარი | 239 | ჭიპაშვილი | მიხეილი |
| 234 | გოლუბიანი | გელა | 237 | კუპრაძე | მალხაზი | | | |
| 235 | ვეფხვაძე | გიზო | 238 | მაღრაძე | ინგა | | | |

### ᲕᲐᲜᲘ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 240 | ერემაშვილი | იოსები | 243 | ივანიაძე | გიორგი | 246 | ჟვანია | ლევანი |
| 241 | ივანიაძე | მურთაზი | 244 | ვაშაყმაძე | ჯაბა | | | |
| 242 | დვალიშვილი | მამია | 245 | საკანდელიძე | ლამარა | | | |

### ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ, 6

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 247 | გოგვა | იმედო | 249 | ადეიშვილი | გოჩა | 251 | დუნდუა | მარინა |
| 248 | ხელაძე | ვალიკო | 250 | ჭკუასელი | ირაკლი | 252 | ხარძეიშვილი | ვეფხია |

### ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ, 5

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 253 | ქათამაძე | ნატო | 255 | მურღულია | ნორა | 257 | ფურცხვანიძე | გიორგი |
| 254 | წინწკალაძე | რობიზონი | 256 | ცუხიშვილი | ლია | | | |

### ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲐ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 258 | წერეთელი | მალხაზი | 261 | წიგნაძე | დავითი | 264 | მასხარაშვილი | გივი |
| 259 | გოგოლაძე | პაატა | 262 | სოფრომაძე | ნატო | | | |
| 260 | პაპიძე | შორენა | 263 | გამყრელიძე | როინი | | | |

## მცხეთა-მთიანეთი, 1

### ᲓᲣᲨᲔᲗᲘ, 1

| | | |
|---|---|---|
| 265 | ველთაური | ქეთი |

## სამცხე-ჯავახეთი, 23

### ᲑᲝᲠᲯᲝᲛᲘ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 266 | კამკამიძე | დავითი | 269 | კამკამიძე | ეკატერინე | 272 | კვირკველია | ირაკლი |
| 267 | შალუტაშვილი | ივანე | 270 | კაპანაძე | მერაბი | | | |
| 268 | გიუაშვილი | გიორგი | 271 | შალუტაშვილი | გიორგი | | | |

### ასპინძა, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 273 | ჯვარიძე | გიორგი | 276 | ზედგინიძე | მანუჩარი | 279 | ნათენაძე | ირინე |
| 274 | კლდიაშვილი | ნუგზარი | 277 | ზაზაძე | პაატა | | | |
| 275 | კლდიაშვილი | მაგდა | 278 | გურგენიძე | თეონა | | | |

### ახალციხე, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 280 | გოგოლაძე | თამარი | 283 | ივანიძე | გიორგი | 286 | ნებაძე | ნაილი |
| 281 | კაჭკაჭიშვილი-ბერიძე | მაკა | 284 | იველაშვილი | თინათინი | | | |
| 282 | მჟავანაძე | მზევინარი | 285 | ხუციშვილი | მამუკა | | | |

### ახალქალაქი, 1

| | | |
|---|---|---|
| 287 | იაგორაშვილი | ოთარი |

### ადიგენი, 1

| | | |
|---|---|---|
| 288 | პარუნაშვილი | ფრიდონი |

## ქვემო ქართლი, 39

### ბოლნისი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 289 | ასპანიძე | დავითი | 292 | აროიანი | მანუელი | 295 | გუგუშვილი | ლევანი |
| 290 | რეხვიაშვილი | ავთანდილი | 293 | ბუდაგოვი | ტოფიგ | | | |
| 291 | სელიმაშვილი | ნატო | 294 | ასლანიშვილი | ეთერი | | | |

### რუსთავი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 296 | ლომიძე | ნინო | 299 | ქუსიკაშვილი | გიორგი | 302 | გომელაური | ნატო |
| 297 | მამულაშვილი | ხათუნა | 300 | ოტიაშვილი | კახა | | | |
| 298 | ფიცხელაური | მანანა | 301 | ელიაშვილი | აკაკი | | | |

### გარდაბანი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 303 | ზურაბიანი | ბაკური | 306 | ვალიევი | ალიხანი | 309 | გვილავა | ზაალი |
| 304 | ბენდელიანი | ლელა | 307 | მუხტიევი | სუდარხანი | | | |
| 305 | მუსაევი | ვაგიფი | 308 | ბენდელიანი | დავითი | | | |

### წალკა, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 310 | ხორგუანი | კონსტანტინე | 313 | შავაძე | ვიტალი | 316 | გიგლემიანი | ბიკენტი |
| 311 | მაკარაძე | რევაზი | 314 | ბოლქვაძე | ედნარი | | | |
| 312 | რატიანი | კახა | 315 | გულბანი | ვაჟა | | | |

### მარნეული, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 317 | ალიევი | ქამილი | 320 | ალიევი | ზაური | 323 | გასანოვი | რავილ |
| 318 | იობაშვილი | გიორგი | 321 | ხარაძე | მანანა | | | |
| 319 | გასანოვი | ფარმაილ | 322 | ისმაილოვი | ილგარ | | | |

### თეთრიწყარო, 2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 324 | ტოგონიძე | ირაკლი | 325 | კობახიძე | დალი |

### დმანისი, 2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 326 | ისკანდაროვი | თამაზი | 327 | მახმუდოვი | თემური |

# რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთი, 29

## ცაგერი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 328 | საღინაძე | ბელა | 331 | ხაბულიანი | ნათია | 334 | ჩაკვეტაძე | დავითი |
| 329 | საღინაძე | მამუკა | 332 | ბენდელიანი | დარეჯანი | | | |
| 330 | ყურაშვილი | ვალოდია | 333 | ომანაძე | ალუდა | | | |

## ონი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 335 | ჩიკვილაძე | კახაბერი | 338 | გრძელიშვილი | ჯამბული | 341 | მეტრეველი | ნინო |
| 336 | მეტრეველი | მახარე | 339 | ხიდეშელი | მაია | | | |
| 337 | ჩიკვილაძე | ოთარი | 340 | ჩიკვილაძე | ავთანდილი | | | |

## ლენტეხი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 342 | მუკბანიანი | სოსო | 345 | ზურაბიანი | ლაშა | 348 | ლიპარტელიანი | თორნიკე |
| 343 | ონიანი | ჯაბა | 346 | ბენდელიანი | ლამზირა | | | |
| 344 | ლიპარტელიანი | დალი | 347 | ლიპარტელიანი | ნანული | | | |

## ამბროლაური, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 349 | ჯოხაძე | ზაალი | 352 | ქემოკლიძე | მამუკა | 355 | ჭელიძე | ზურაბი |
| 350 | აბუთიძე | თამაზი | 353 | აბუთიძე | გოჩა | | | |
| 351 | ქარაზანაშვილი | დავითი | 354 | სოხაძე | ნინო | | | |

## მესტია, 1

| | | |
|---|---|---|
| 356 | ფილფანი | გელა |

# შიდა ქართლი, 26

## გორი, 6

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 357 | დეკანოსიძე | იასონ | 359 | ლურსმანაშვილი | ნონა | 361 | ჭონიშვილი | თამაზი |
| 358 | გუდაძე | კოტე | 360 | ლომსაძე | ლელა | 362 | ვალიაური | ალექსანდრე |

## კასპი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 363 | თათანაშვილი | ხათუნა | 366 | მანჯგულაშვილი | ანზორი | 369 | პატარქალაშვილი | რევაზი |
| 364 | მიდელაშვილი | ნუკრი | 367 | მერებაშვილი | ალექსანდრე | | | |
| 365 | ჭიჭინაძე | გოჩა | 368 | მჭედლიშვილი | გიორგი | | | |

## ქარელი, 6

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 370 | საზანდრიშვილი | სოსო | 372 | მაჭარაშვილი | მარიამი | 374 | ბალიაშვილი | ზურაბი |
| 371 | კოკოზაშვილი | ზურაბი | 373 | გოგიჩაიშვილი | გიორგი | 375 | გიგაური | ნანა |

## ხაშური, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 376 | გვენეტაძე | ნინო | 379 | გელაშვილი | ირინე | 382 | გელაშვილი | ანზორი |
| 377 | მახარაშვილი | ჯურხა | 380 | გელაშვილი | ანატოლი | | | |
| 378 | ხაჩიძე | ვასილი | 381 | გიორგაძე | ირმა | | | |

# სამეგრელო, 37

## ზუგდიდი, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 383 | თოლორაია | ნონა | 386 | ღურწკაია | მაია | 389 | თოდუა | გიორგი |
| 384 | ეხვაია | ბადრი | 387 | თოლორაია | ცისანა | | | |
| 385 | რაფავა | ნიკოლოზი | 388 | ფიფია | ბესიკი | | | |

### ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲘ, 6

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 390 | ბაღიშვილი | შოთა | 392 | ქორაია | აპოლონი | 394 | ჯოჯუა | მოგელი |
| 391 | სახოკია | მაია | 393 | ზუნწელია | ნონა | 395 | ჯგერენაია | აკაკი |

### ᲤᲝᲗᲘ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 396 | ქინქლაძე | გაიოზი | 399 | ღლონტი | მარინა | 402 | დიხამინჯია | ნანა |
| 397 | ქეშელაშვილი | გიორგი | 400 | გოგინავა | ევგენი | | | |
| 398 | ფოცხუა | ნუკრი | 401 | ნაჭყებია | თამილა | | | |

### ᲡᲔᲜᲐᲙᲘ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 403 | დავითაია | ზურაბი | 406 | გრიგოლია | ჯემალი | 409 | ბაღუშვილი | მაია |
| 404 | კვირაია | ბადრი | 407 | ბაღუშვილი | ხათუნა | | | |
| 405 | დავითაია | ზაალი | 408 | ხურცია | ბადრი | | | |

### ᲬᲐᲚᲔᲜᲯᲘᲮᲐ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 410 | კვარაცხელია | მერაბი | 413 | შენგელია | გულნაზი | 416 | კვარაცხელია | ელგუჯა |
| 411 | შენგელია | ვლადიმერი | 414 | კვარაცხელია | მალხაზი | | | |
| 412 | მოსიძე | ნატო | 415 | ლემონჯავა | მაია | | | |

### ᲐᲑᲐᲨᲐ, 2

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 417 | ჟღენტი | სოფიო | 418 | შონია | როლანდი |

## აჭარა, 43

### ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 8

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 419 | ჩავლეიშვილი | ირაკლი | 422 | სამნიძე | ხათუნა | 425 | გუჯაბიძე | ზურაბი |
| 420 | ყურაშვილი | თეიმურაზი | 423 | მასალკინი | გიორგი | 426 | ჩხარტიშვილი | დავითი |
| 421 | პატარაია | ზურაბი | 424 | ხიტირი | ვლასი | | | |

### ᲮᲔᲚᲕᲐᲩᲐᲣᲠᲘ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 427 | ბერიძე | ავთანდილი | 430 | კეკელიძე | ნუგზარი | 433 | დუმბაძე | მურმანი |
| 428 | ბექტაშვილი | კობა | 431 | ეცხლაძე | ამირანი | | | |
| 429 | ახვლედიანი | ზაური | 432 | ბოლქვაძე | იოსები | | | |

### ᲮᲣᲚᲝ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 434 | პაქსაძე | რაული | 437 | იაკობიძე | მურადი | 440 | სურმანიძე | როინი |
| 435 | ძირკვაძე | რამაზი | 438 | მიქელაძე | მალხაზი | | | |
| 436 | ხოზრევანიძე | გურამი | 439 | მგელაძე | ზურაბი | | | |

### ᲥᲔᲓᲐ, 7

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 441 | ბერიძე | სილოვანი | 444 | ბერიძე | გია | 447 | გოგიტიძე | ზვიადი |
| 442 | ჩხეიძე | თამაზი | 445 | ფალავადიშვილი | დავითი | | | |
| 443 | შარაშიძე | თამაზი | 446 | დუმბაძე | როლანდი | | | |

### ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, 8

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 448 | ხაჯიშვილი | იმედა | 451 | მოწყობილი | სოფიო | 454 | მესხიძე | როლანდი |
| 449 | გოლიაძე | ზურაბი | 452 | სალუქვაძე | რაული | 455 | ხაჯიშვილი | გურამი |
| 450 | ქავჟარაძე | თენგიზი | 453 | ცენტერაძე | მაყვალა | | | |

### ᲨᲣᲐᲮᲔᲕᲘ, 6

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 456 | მიქელაძე | იური | 458 | ლომინაძე | თემური | 460 | აბაშიძე | თემური |
| 457 | სურმანიძე | ოთარი | 459 | ზოსიძე | იაშა | 461 | ფუტკარაძე | გელა |

## კახეთი, 37

### ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ, 7

462 ყვირალაშვილი ზვიადი
463 დანელიშვილი ზურაბი
464 დვალი გიორგი
465 ბერუკაშვილი გიორგი
466 ბეციაშვილი ხათუნა
467 გოგიაშვილი გიორგი
468 ლუაშვილი სოფიკო

### ᲗᲔᲚᲐᲕᲘ, 4

469 ჭონიშვილი გიორგი
470 წიქარაძე დავითი
471 ამისულაშვილი გელა
472 ღელაღუტაშვილი ავთანდილი

### ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡᲬᲧᲐᲠᲝ, 6

473 ტოკლიკიშვილი ნოდარი
474 ჩარბოდაშვილი ვლადიმერი
475 ნატროშვილი აკაკი
476 თევზაძე სოსო
477 კოჭლამაზაშვილი მამუკა
478 ტაკიძე ციური

### ᲐᲮᲛᲔᲢᲐ, 7

479 ქინქლაძე ზაქარია
480 ჭიჭიკლიშვილი ბიძინა
481 ჩურჩხელაშვილი ციალა
482 კვირიკაშვილი მევლუდი
483 მარაქაშვილი ნათია
484 ბიჩინაშვილი ნინო
485 კვირიკაშვილი ოთარი

### ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝ, 7

486 კევლიშვილი გელა
487 თედიაშვილი ცისმარი
488 გორგილაძე მიხეილი
489 ქვლივიძე ირაკლი
490 ჩალათაშვილი გიორგი
491 დარბაისელი ვასილი
492 გულაღაშვილი გულნარა

### ᲡᲘᲦᲜᲐᲦᲘ, 4

493 ბეჟაშვილი თენგიზი
494 ხატიაშვილი ბესიკი
495 მჭედლიშვილი მანანა
496 მატინოვი ნათია

### ᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ, 1

497 ვარადაშვილი ვაჟა

### ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ, 1

498 კეღოშვილი კახაბერი

## გურია, 19

### ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ, 7

499 ახობაძე ირაკლი
500 სიხარულიძე ჯუმბერი
501 ბერძენიშვილი ზაზა
502 ჩხიკვაძე მალხაზი
503 ბერძენიშვილი ნინო
504 ბერძენიშვილი ქეთევანი
505 კალანდაძე რომანი

### ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ, 6

506 ბიწაძე რომანი
507 ებრალიძე ლილი
508 ხუხუნაიშვილი ტარიელი
509 შალიკაშვილი ლევანი
510 ებრალიძე ნინო
511 ქურიძე ოლეგი

### ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, 6

512 ხიდაშელი ქეთევანი
513 გელაშვილი გელა
514 აბუსერიძე ბადრი
515 მჟავანაძე შორენა
516 სუნგულია მარინე
517 კალანდაძე ბესო

*ახალი რედაქციის პროექტი*

# საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წესდება

თბილისი
2009 წელი

## პრეამბულა

საქართველოს რესპუბლიკური პარტია დაარსდა 1978 წლის 21 მაისს, ქ. თბილისში. თავის საქმიანობაში იგი აღიარებს შემდეგ ღირებულებებს, პრინციპებსა და იდეალებს:

- კაცობრიობის უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფა, პიროვნების თვითრეალიზებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საკუთრივ კაცობრიობის, საზოგადოების, სახელმწიფოს უპირველეს ამოცანასა და ფუნქციას შეადგენს;
- ადამიანის უშუალო საარსებო გარემო არის საზოგადოება. საზოგადოებრივ თანაცხოვრებაში ყალიბდება ზნეობა, რაც უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთათვის ამ ზნეობის შესაბამისი ცხოვრების წესის გარანტიებს და მოითხოვს მათგან გარკვეულ თვითშეზღუდვას სხვებისათვის შესაბამისი გარანტიების უზრუნველსაყოფად;
- ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის, პიროვნების თვითრეალიზებისათვის პირობების შექმნის, მოქალაქეთა და მათ კერძო თუ ჯგუფურ ინტერესებს შორის ურთიერთობის რეგულირება მიჩნეულია საზოგადოებრივ საქმედ – Res Publica. აუცილებელ ინსტიტუტს ამ საქმეთა მოსაგვარებლად წარმოადგენს სახელმწიფო;
- სამართლებრივი სახელმწიფოს მიერ თავისი დანიშნულების შესრულების ინსტრუმენტი არის კანონი. კანონის საფუძველზე შექმნილი მექანიზმებითა და კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში სახელმწიფო ხელს უწყობს პიროვნების პოტენციალის გამოვლენასა და შესაბამის ქმედებებს და ზღუდავს ნეგატიური თვისებებით ან სხვა მოტივებით განპირობებულ სოციალური ჰარმონიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს;
- სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერის მიერ ცხოვრების დამკვიდრებული წესისა და საცხოვრისის შენარჩუნებისაკენ სწრაფვა, სახელმწიფოებრიობის მოთხოვნილებაში რეალიზებული თვითმყოფადობის გაცნობიერება, სოლიდარული პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეების ბედ-იღბალზე, შესაბამისი ნება და უნარი;
- ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მოთხოვნილების გონივრული ურთიერთშეხამების საუკეთესო შესაძლებლობას სახელმწიფოში იძლევა კერძო საკუთრების არსებობა და თვითმმართველობის სისტემა, როგორც უშუალო დემოკრატიის რეალური ფორმა, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოების პასუხისმგებელი წევრის – მოქალაქის ჩამოყალიბებას;
- სახელმწიფოს მართვაში საზოგადოების მონაწილეობას წარმომადგენლობითი ინსტიტუტების გარდა უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოება, რომელსაც საფუძვლად უდევს პლურალიზმი და არჩევანის გარანტირებული შესაძლებლობა. სამოქალაქო საზოგადოებაში განსხვავებული ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის პრობლემათა მოგვარების ოპტიმალური საშუალებაა მხარეთა კეთილ ნებაზე დამყარებული მუდმივი დიალოგი.

## თავი პირველი
### ზოგადი დებულებანი

1.1. რესპუბლიკური პარტია არის მოქალაქეთა ნებაყოფლობითი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც აღიარებს ლიბერალურ იდეალებს და გამოხატავს მოქალაქეთა ინტერესებს, დაფუძნებულს სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოების, ზნეობისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე.

1.2. რესპუბლიკური პარტია მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.3. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

1.4. პარტიასთან, მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან შეიძლება შეიქმნას მხარდამჭერი ჯგუფები და გაერთიანებები.

1.5. პარტია არის იურიდიული პირი.

1.6. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 13.

## თავი მეორე
### პარტიის მიზანი

2.1. პარტიის მიზანია სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში მონაწილეობითა და კონსტიტუციური ინსტიტუტების განმტკიცებით პრეამბულაში გაცხადებული პრინციპების დამკვიდრება და დაცვა.

## თავი მესამე
### პარტიის წევრობა

3.1. პარტიის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 18 წლის ასაკიდან, რომელიც აღიარებს პარტიის წესდებას და საპროგრამო დოკუმენტებს. პარტიის წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა პარტიის წევრი.

3.2. მოქალაქეს პარტიის წევრის წერილობითი რეკომენდაციით რეგისტრაციის ადგილის მიხედვით პარტიაში იღებს პარტიის რაიონული (საქალაქო) კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილებასაც ამტკიცებს აღმასრულებელი სამდივნო. მოქალაქის პარტიაში მიღება შეუძლია აგრეთვე აღმასრულებელ სამდივნოს. წევრად მიღების პროცედურასა და წევრთა აღრიცხვის წესს აღმასრულებელი სამდივნოს წარდგინებით ადგენს პარტიის ეროვნული კომიტეტი.

3.3. პარტიის წევრს უფლება აქვს:
- ა) წესდების შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს პარტიის ნებისმიერი ორგანოს არჩევნებში;
- ბ) მიმართოს პარტიის შესაბამის ორგანოს წინადადებით, განცხადებით, საჩივრით და გონივრულ ვადაში მიიღოს მასზე პასუხი;
- გ) გაეცნოს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების ხელთ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტაციას პარტიის საქმიანობის შესახებ;
- დ) შესაბამისი შეტყობინების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს მისთვის პარტიული სასჯელის დაკისრებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვაში, წარადგინოს თავისი მოსაზრებები;
- ე) შესაბამისი კომიტეტისათვის ან აღმასრულებელი სამდივნოსათვის შეტყობინებით შეაჩეროს თავისი წევრობა გარკვეული ვადის მითითებით ან გავიდეს პარტიიდან.

3.4. პარტიის წევრი მოვალეა:
- ა) დაიცვას პარტიის წესდება;
- ბ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს პარტიის საქმიანობასა და საარჩევნო კამპანიაში;
- გ) მონაწილეობა არ მიიღოს პარტიის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო საქმიანობაში;
- დ) თავისი მოქმედებით არ დაუშვას პარტიის დისკრედიტაცია;
- ე) დადგენილი წესითა და ოდენობით გადაიხადოს საწევრო შესატანი.

3.5. წესდებით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის პარტიის წევრს შეიძლება დაეკისროს პარტიული სასჯელი. სასჯელის დადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და მის ზომას განსაზღვრავს აღმასრულებელი სამდივნო. პარტიაში დაწესებულია შემდეგი სახის პარტიული სასჯელები:
- ა) წერილობითი გაფრთხილება;
- ბ) პარტიის წევრობის შეჩერება გარკვეული ვადით;
- გ) პარტიიდან გარიცხვა.

3.6. პარტიას შეიძლება ჰყავდეს მხარდამჭერები, რომელთა აღრიცხვისა და პარტიასთან ურთიერთობის წესს განსაზღვრავს ეროვნული კომიტეტი.

## თავი მეოთხე
### პარტიის სტრუქტურა

4.1. პარტიის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს მის მიერ დადგენილი წესით ქმნის და აუქმებს ეროვნული კომიტეტი.

4.2. პარტიაში შეიძლება შეიქმნას რაიონული, საქალაქო, რეგიონალური, ახალგაზრდული ორგანიზაცია და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფები. სტრუქტურული ქვედანაყოფის შიდა ორგანიზაციასა და საქმიანობის წესს განსაზღვრავს დებულება, რომელსაც ამტკიცებს ეროვნული კომიტეტი. თბილისის საქალაქო ორგანიზაცია სარგებლობს რეგიონალური ორგანიზაციის სტატუსით.

4.3. პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფი ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისად.

## თავი მეხუთე
### პარტიის ყრილობა

5.1. პარტიის უმაღლესი ორგანოა ყრილობა. პარტიის მორიგ ყრილობას იწვევს პარტიის ეროვნული კომიტეტი 2 წელიწადში ერთხელ. პარტიის მორიგი ყრილობა ტარდება შემოდგომაზე.

5.2. პარტიის რიგგარეშე ყრილობას იწვევს პარტიის თავმჯდომარე:

ა) ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით;

ბ) პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის სულ ცოტა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით;

გ) არანაკლებ ოთხი რეგიონალური ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოების მოთხოვნით;

დ) თავისი ინიციატივით.

5.3. რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილებას პარტიის თავმჯდომარე იღებს ინიციატივის შემოსვლიდან ორი კვირის ვადაში. რიგგარეშე ყრილობა ტარდება მოწვევიდან ერთი თვის ვადაში ინიციატორის მიერ წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით და იხურება მისი ამოწურვისთანავე.

5.4. ყრილობაზე დელეგატების შერჩევის წესს პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ადგენს ეროვნული კომიტეტი.

5.5. ყრილობა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა ნახევარზე მეტი.

5.6. ყრილობა გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე დელეგატთა უმრავლესობით, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.7. ყრილობა:

ა) ისმენს მის მიერ არჩეული ორგანოების ანგარიშს;

ბ) უფლებამოსილია მოითხოვოს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების, ხელისუფლების ორგანოებში არჩეული ან დანიშნული პარტიის წევრების ანგარიშები;

გ) დამსწრე დელეგატთა ორი მესამედის უმრავლესობით იღებს პარტიის წესდებას ან ცვლილება შეაქვს მასში;

დ) განსაზღვრავს პარტიის პოლიტიკური კურსის ძირითად მიმართულებებს;

ე) დადგენილი წესით პარტიის წევრთაგან ირჩევს ეროვნულ კომიტეტს;

ვ) დადგენილი წესით პარტიის წევრთაგან ირჩევს სარევიზიო კომისიას;

ზ) უფლებამოსილია გააუქმოს ეროვნული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

5.8. ყრილობის გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის ყველა წევრის, ორგანოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფისათვის.

## თავი მეექვსე
### პარტიის ეროვნული კომიტეტი

6.1. ყრილობებს შორის პერიოდში პარტიის უმაღლესი ორგანოა ეროვნული კომიტეტი.

6.2. ეროვნულ კომიტეტს ფარული კენჭისყრით 2 წლის ვადით 35 წევრის შემადგენლობით ირჩევს პარტიის ყრილობა. ეროვნული კომიტეტის წევრად არჩეულად ითვლება 35 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. თუ კანდიდატები დააგროვებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, მათი რიგითობა განისაზღვრება წილისყრით. ეროვნული კომიტეტის წევრთა არჩევისას, ყრილობის დელეგატები ხმას აძლევენ არანაკლებ 25 და არაუმეტეს 35 კანდიდატს.

6.3. ეროვნული კომიტეტის პირველი სხდომის მოწვევის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტიის თავმჯდომარე კომიტეტის არჩევიდან 24 საათში და სხდომა ტარდება მოწვევიდან სამი დღის ვადაში. თუ პარტიის თავმჯდომარემ დადგენილ ვადაში არ ჩაატარა სხდომა, ეროვნული კომიტეტი 48 საათში იკრიბება თავისი უფლებით და მას უძღვება ეროვნული კომიტეტის უხუცესი წევრი.

6.4. პარტიის ეროვნული კომიტეტი უფლებამოსილია ეროვნული კომიტეტის შემადგენლობაში რეგლამენტით დადგენილი წესით კოოპტაციით დამატებით შეიყვანოს არაუმეტეს 5 წევრისა.

6.5. ეროვნული კომიტეტის სხდომას ამზადებს და წარმართავს პარტიის თავმჯდომარე.

6.6. ეროვნული კომიტეტი:

ა) პირველსავე სხდომაზე სრული შემადგენლობის უმრავლესობით საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს. სრული შემადგენლობის ერთი მესამედის წერილობითი მოთხოვნით განიხილავს პარტიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. გადაწყვეტილებას კენჭი ეყრება საკითხის დასმიდან სამი დღის ვადაში და მიიღება არანაკლებ სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით.

ბ) ისმენს პარტიის თავმჯდომარის, პარტიის მდივნების, დარგობრივი კომისიების ხელმძღვანელების, წარმომადგენლობით ორგანოებში პარტიული წარმომადგენლობების, რეგიონალური, რაიონული, საქალაქო ორგანიზაციების, ახალგაზრდული ორგანიზაციის ანგარიშებს. აღმასრულებელი სამდივნოს წარდგინებით თანამდებობიდან გადააყენებს სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს;

გ) ამტკიცებს პარტიის პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ დოკუმენტებს;

დ) პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში წარსადგენ კანდიდატთა სიას;

ე) პარტიის თავმჯდომარესა და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელ ორგანოს შორის კონსულტაციის საფუძველზე, პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში პარტიის მიერ წარსადგენ კანდიდატურებს;

ვ) პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ქმნის დარგობრივ კომისიებს და ნიშნავს მათ ხელმძღვანელებს;

ზ) აღმასრულებელი სამდივნოს წარდგინებით ამტკიცებს საწევრო შესატანის ოდენობასა და გადახდის წესს;

თ) უფლებამოსილია სრული შემადგენლობის უმრავლესობით გააუქმოს აღმასრულებელი სამდივნოსა და პარტიის თავმჯდომარის გადაწყვეტილება;

ე) ასრულებს ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

6.7. ეროვნული კომიტეტის სხდომები ტარდება ორ თვეში ერთხელ მაინც.

6.8. ეროვნული კომიტეტის რიგგარეშე სხდომას იწვევს პარტიის თავმჯდომარე:

ა) ორი რეგიონალური ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოს მოთხოვნით;

ბ) ეროვნული კომიტეტის წევრთა ერთი მეხუთედის წერილობითი მოთხოვნით;

გ) თავისი ინიციატივით.

6.9. ეროვნული კომიტეტის რიგგარეშე სხდომა ტარდება მოთხოვნიდან არა უგვიანეს 7 დღისა.

6.10. ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილება, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ კომიტეტის წევრთა ერთი მესამედისა.

6.11. ეროვნული კომიტეტის საქმიანობის წესს განსაზღვრავს რეგლამენტი, რომელსაც იგი იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

6.12. ეროვნული კომიტეტის უფლებამოსილება წყდება ახალი ეროვნული კომიტეტის არჩევისთანავე.

6.13. ეროვნული კომიტეტის წევრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომის, პარტიის წევრობის შეწყვეტის, შეჩერების ან გარდაცვალების შემთხვევაში. უფლებაშეწყვეტილი ეროვნული კომიტეტის წევრის ადგილს იკავებს არჩევნებისას მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

## თავი მეშვიდე

### პარტიის თავმჯდომარე

7.1. პარტიის თავმჯდომარე პარტიის უმაღლესი თანამდებობის პირია. იგი მოქმედებს პარტიის ყრილობის, ეროვნული კომიტეტისა და აღმასრულებელი სამდივნოს გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

7.2. პარტიის თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ამზადებს და ხელმძღვანელობს ეროვნული კომიტეტისა და აღმასრულებელი სამდივნოს სხდომებს;

ბ) არის პარტიის წარმომადგენელი მესამე პირებთან ურთიერთობაში. ცალკეულ შემთხვევაში ნიშნავს თავის წარმომადგენელს და განსაზღვრავს მისი უფლებამოსილების ფარგლებს;

გ) აღმასრულებელ სამდივნოს დასამტკიცებლად წარუდგენს პარტიის ცენტრალური ადმინისტრაციის სტრუქტურას, შესაბამისი მდივნის წარდგინებით ნიშნავს სამსახურების ხელმძღვანელებს. უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს პარტიის მდივნები და ცენტრალური ადმინისტრაციის თანამდებობის პირები;

დ) კოორდინაციას უწევს პარტიის მდივნების, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების და სხვა პარტიული თანამდებობის პირების საქმიანობას;

ე) აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს პარტიის სახელით;

ვ) გამოსცემს განკარგულებებს;

ზ) ხელს აწერს ეროვნული კომიტეტისა და აღმასრულებელი სამდივნოს გადაწყვეტილებებსა და განცხადებებს.

თ) ასრულებს წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

7.3. პარტიის თავმჯდომარის არყოფნის ან ფუნქციათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში მის ფუნქციებს ასრულებს პარტიის პოლიტიკური მდივანი. პოლიტიკური მდივნის არყოფნის შემთხვევაში პარტიის თავმჯდომარის ფუნქციებს დროებით ასრულებს პარტიის თავმჯდომარის მიერ შერჩეული ეროვნული კომიტეტის ერთ-ერთი წევრ-მდივანი.

7.4. პარტიის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება ახალი თავმჯდომარის არჩევის, გადადგომის, გადაყენების ან გარდაცვალებისას. ასეთ შემთხვევაში ეროვნული კომიტეტი საკუთარი შემადგენლობიდან ორი კვირის ვადაში ირჩევს პარტიის ახალ თავმჯდომარეს.

## თავი მერვე

### პარტიის აღმასრულებელი სამდივნო

8.1. ყრილობებსა და ეროვნული კომიტეტის სხდომებს შორის პარტიის საქმიანობის წარმმართველი ორგანოა პარტიის აღმასრულებელი სამდივნო, რომელშიც შედიან:

ა) პარტიის თავმჯდომარე;

ბ) ეროვნული კომიტეტის მიერ პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით დანიშნული 6-9 წევრი, რომელთაგან ნახევარი მაინც, მათ შორის, პოლიტიკური მდივანი, უნდა იყოს ეროვნული კომიტეტის წევრი.

8.2. პარტიის მდივნები უძღვებიან პარტიის აღმასრულებელი საქმიანობის კონკრეტულ მიმართულებებს და ხელმძღვანელობენ შესაბამის სამსახურებს.

8.3. აღმასრულებელი სამდივნო:

ა) შეიმუშავებს პარტიის სამოქმედო გეგმას, წინასაარჩევნო და სტრატეგიული მნიშვნელობის სხვა დოკუმენტებს;

ბ) აკეთებს განცხადებებს პარტიის სახელით;

გ) უფლებამოსილია ეროვნული კომიტეტის წინაშე დასვას პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი;

დ) უფლებამოსილია გააუქმოს პარტიის სტრუქტურული ქვედანაყოფის გადაწყვეტილება;

ე) კოორდინაციას უწევს დარგობრივი კომისიების საქმიანობას;

ვ) პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარტიის ცენტრალური ადმინისტრაციის სტრუქტურას;

ზ) იწვევს პარტიულ კონფერენციებს;

თ) ასრულებს ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

8.4. აღმასრულებელი სამდივნოს სხდომები ტარდება ორ კვირაში ერთხელ მაინც. იგი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

8.5. აღმასრულებელი სამდივნოს გადაწყვეტილება სავალდებულოა პარტიის წევრებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის.

8.6. პარტიის მდივანს უფლებამოსილება უწყდება ახალი ეროვნული კომიტეტის არჩევის, გადადგომის, პარტიის თავმჯდომარის ან ეროვნული კომიტეტის სრული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ მისი თანამდებობიდან გადაყენების, აგრეთვე პარტიის წევრობის შეწყვეტის, შეჩერების ან გარდაცვალების შემთხვევაში.

## თავი მეცხრე
### სარევიზიო კომისია

9.1. სარევიზიო კომისიას ფარული კენჭისყრით ხუთი წევრის შემადგენლობით ირჩევს ყრილობა. არჩეულად ჩაითვლება ხუთი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი. თუ სარევიზიო კომისიის წევრები დააგროვებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას, მათი რიგითობა განისაზღვრება წილისყრით. სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევისას ყრილობის დელეგატები საარჩევნო ბიულეტენში შემოხაზავენ არანაკლებ სამ და არაუმეტეს ხუთ კანდიდატს. სარევიზიო კომისიის უფლებამოსილების ვადა წყდება ახალი სარევიზიო კომისიის არჩევისთანავე. სარევიზიო კომისიის წევრს უფლებამოსილება უწყდება გადადგომის, პარტიის წევრობის შეწყვეტის, შეჩერების ან გარდაცვალების შემთხვევაში. უფლებაშეწყვეტილი სარევიზიო კომისიის წევრის ადგილს იკავებს არჩევნებისას მომდევნო საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

9.2. სარევიზიო კომისიას ხელმძღვანელობს მისი თავმჯდომარე, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის წევრები.

9.3. სარევიზიო კომისია აკონტროლებს პარტიის წევრების, ორგანოებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ პარტიის წესდების დაცვას, პარტიის საფინანსო საქმიანობას და თავის დასკვნებს წარუდგენს შესაბამის პარტიულ ორგანოს.

9.4. სარევიზიო კომისია შემოწმების შედეგების საფუძველზე შეიმუშავებს და შესაბამის პარტიულ ორგანოს წარუდგენს წინადადებებს პარტიული სასჯელების დაკისრებისა და პარტიის ორგანიზაციული საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ.

9.5. სარევიზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება წევრთა უმრავლესობით.

9.6. სარევიზიო კომისია ვალდებულია თავისი დასკვნა გააცნოს ეროვნულ კომიტეტსა  და იმ ორგანოს ან წევრს, რომელსაც იგი ეხება.

9.7. სარევიზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პარტიის სხვა ორგანოს წევრი.

9.8. სარევიზიო კომისია ანგარიშვალდებულია მხოლოდ პარტიის ყრილობის წინაშე. სარევიზიო კომისიის წევრისათვის პარტიული სასჯელის დაკისრების საკითხს წყვეტს ეროვნული კომიტეტი.

9.9. პარტიის სარევიზიო კომისიის წევრს უფლება აქვს დაესწროს პარტიის ნებისმიერი დონის ორგანოსა და სტრუქტურული ქვედანაყოფის სხდომას და გამოთქვას მოსაზრებები.

## თავი მეათე
### პარტიის ფინანსები

10.1. პარტიის ფინანსური წყაროებია: სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხა, საწევრო შენატანები, ნებაყოფლობითი შემოწირულობანი, კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობით მიღებული სხვა შემოსავლები.

10.2. პარტიის ფულად სახსრებს და ქონებას ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განკარგავს პარტიის თავმჯდომარე.

## თავი მეთერთმეტე
### პარტიის სიმბოლიკა

11.1. პარტიის სიმბოლოა ხარი.

11.2. პარტიული სიმბოლიკის ფერებია ლურჯი, ნარინჯისფერი და თეთრი.

11.3. პარტიულ სიმბოლიკას ამტკიცებს ეროვნული კომიტეტი.

## თავი მეთორმეტე
### პარტიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

12.1. მხოლოდ პარტიის ყრილობაა უფლებამოსილი დამსწრე დელეგატთა ორი მესამედით:

ა) მოახდინოს პარტიის რეორგანიზაცია;

ბ) მოახდინოს პარტიის ლიკვიდაცია.

12.2. პარტიის ლიკვიდაცია შესაძლებელია აგრეთვე კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაშიც.

12.3. პარტიის ლიკვიდაციის შემდგომ დარჩენილი ქონება ნაწილდება კანონმდებლობის შესაბამისად.

*მიღებულია პარტიის XIII ყრილობის მიერ*
*თბილისი, 2009 წლის 8 ივლისი*